

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმის N 10

ქ. თელავი

15.07.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; გ. მამუკელაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - მ. მარკოზაშვილი; საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე - დ. ლაღანიძე; ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ქიზიყელაშვილი; ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ლილუაშვილი; ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე - გ. ჩაბრაშვილი; ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ვ. არაბული; ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს თავმჯდომარე - ა. თვალთაშვილი. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; საკრებულოს სოციალურ, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ნ. ჯავახია; საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - დ. ნუსხელიძე; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნ. ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ფ. ყუშიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის,

არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
- დ. ქსოვრელიშვილი; მოქალაქე - მ. მოსიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 დადგენილებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს - ფ. ყუშიტაშვილს.

მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისის თვეში ჩატარდა სასკოლო ფესტივალი „ხელოვნება და შემოქმედება“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 29900 ლარს, ღონისძიებიდან დარჩენილი ეკონომია 3650 ლარი, დაემატოს ღონისძიებას „კულტურული ინიციატივები“ და მისი ბიუჯეტი განისაზღვრება 16250 ლარით, რომელიც მოხმარდება ახალგაზრდობისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს შეხვედრა-სემინარების გამართვას (3 სეზონი). აღნიშნული ცვლილება პროგრამულ ბიუჯეტზე ცვლილებას არ მოახდენს, ვინაიდან ადგილი აქვს თანხების მუხლობრივ გადანაცვლებას.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

მოსმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 დადგენილებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შედენის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვს: დ. გოგოშვილმა და კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს - დ. ქსოვრელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება სოფელ იყალთოში სკოლის ცენტრალურ გზამდე 250 მეტრ მანძილზე წყლის ქსელის ამოცვლასა და იყალთოს აკადემიასთან არსებული წყაროს რეაბილიტაციას, რომლის მთლიანმა ღირებულებამ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შეადგინა 30 000 ლარი.

ასევე პროექტი ეხება სოფელ კონდოლში სკვერის მოწყობას, რომლის მთლიანმა ღირებულებამ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შეადგინა 10 000 ლარი.

ორივე პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი